

*არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი  
„ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“*



*BATUMI KINDERGARDENS UNION*

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით  
პირადი ჰიგიენის საშუალებების  
შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

(CPV - 33700000)

---

ქ. ბათუმი  
2017

# 1. ტექნიკური დოკუმენტაცია.

## 1.1. შესყიდვის ობიექტი:

### 1.1.2 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: პირადი ჰიგიენის საშუალებები.

N	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზომილების ერთეული, რაოდენობა	
1	საყოფაცხოვრებო საპონი	საყოფაცხოვრებო საპონი 72%-იანი, მაღალი აქაფების ხარისხით, როგორც ცივ ასევე ცხელ წყალზე, ყოველი ცალი უნდა იყოს შეფუთული ქარხნული წესით; <b>წონა:</b> არანაკლებ 180 გრ.	ცალი	1 400
2	თხევადი საპონი	თხევადი ხელის საპონი. ანტიალერგიული, ანტიბაქტერიული, სასიამოვნო სუნით, კანიდან ადვილად მოშორებადი, ადვილად აქაფებადი.	ლიტრი	5 000
3	ქაღალდის ხელსახოცი	ქაღალდის ხელსახოცი, 100%-იანი ცელულოზა, რბილი <b>სიგრძე/სიგანე:</b> არანაკლებ 23X23სმ (გაშლილ მდგომარეობაში)	ცალი (ფურცელი)	5 000 000
4	ქაღალდის ხელსახოცი	ქაღალდის ხელსახოცი, კედლის მექანიკური დისპენსერისთვის, 100%-იანი ცელულოზა, რბილი <b>სიგრძე/სიგანე:</b> არანაკლებ 18x18სმ (გაშლილ მდგომარეობაში)	ცალი (ფურცელი)	400 000
5	ტუალეტის ქაღალდი 3 ფენიანი	უმალესი ხარისხის თეთრი ქაღალდი, 100%-იანი ცელულოზა, პერფორირებული, რბილი; <b>რულონის შიდა გული</b> - მუყაო; <b>ფენების რაოდენობა:</b> არანაკლებ - 3 ფენა; <b>ფურცლების რაოდენობა:</b> 150 ცალი(±2 ცალი); <b>ფურცლის ზომა:</b> არანაკლებ - 9,5x10.5სმ <b>ერთი რულონის წონა:</b> არანაკლებ - 100 გრ; <b>ერთი რულონის სიგრძე:</b> არანაკლებ 17 მეტრი.	ცალი	91 200

## 1.2 შესყიდვის ობიექტის ნიმუშების წარმოდგენა:

1.2.1 გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ "სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების" მე-12 მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების შესაბამისად, შერჩევა/შეფასების ეტაპზე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესყიდვის ობიექტის ნიმუშები ყველა პოზიციაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმისა და წერილის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვიდან/განთავსებიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაციის ფაქტიურ მისამართზე: ქ. ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქN42 (ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციული შენობა).

1.2.2 წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტის ნიმუშების მწარმოებელი ქვეყანა და კომპანია, ასევე შეფუთვის ტიპი და მოცულობა უნდა შესაბამებოდეს პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთულ ტექნიკურ ან/და დაზუსტების შემთხვევაში, დაზუსტებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას.

1.2.3 წარმოდგენილი ნიმუშების ყველა, რამოდენიმე ან/და რომელიმე პოზიციის/სახეობის მწარმოებელი ქვეყანისა და კომპანიის, ასევე შეფუთვის ტიპისა და მოცულობის ან მოცემულთაგან რომელიმე ერთი კომპონენტის შეუსაბამობა ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ან/და დაზუსტების შემთხვევაში დაზუსტებულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან, გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას აღნიშნული ტენდერიდან;

### **1.3 ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მწარმოებელი ქვეყნისა და კომპანიის შესახებ:**

1.3.1 პრეტენდენტის მიერ თავდაპირველ სატენდერო წინადადებაში, შესყიდვის ობიექტის მწარმოებელი ქვეყნისა და კომპანიის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა ან/და არასრულყოფილად წარმოდგენა (თუნდაც არ იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია რომელიმე ერთ პოზიციაზე) გამოიწვევს პრეტენდენტის უპირობო დისკვალიფიკაციას აღნიშნული ტენდერიდან;

1.3.2 პრეტენდენტის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მწარმოებელი ქვეყნისა და კომპანიის შემდგომი ცვლილება დაუშვებელია და მსგავსი ქმედება გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას აღნიშნული ტენდერიდან;

### **1.4 ფასწარმოქმნის ადეკვატურობა:**

1.4.1 გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების“ მე-11 მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა უნდა დასაბუთდეს საექსპერტო ან აუდიტორული დასკვნით, რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას;

### **1.5 სატენდერო წინადადების ფასის გაანგარიშების მეთოდი:**

1.5.1 სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

1.5.2 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, დღგ-ს (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში), ტრანსპორტირების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სხვა ხარჯებს.

1.5.3 თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასიდან გამომდინარე, ერთეულის ფასები წარმოდგება მრავალნიშნა ათწილადის სახით, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის შეამციროს ერთეულის ფასი და დაამრგვალოს მესამე მანძილამდე, შესაბამისად შეამციროს საერთო ფასიც.

1.5.4 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.5.5 ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაეკვემდებარება ანაზღაურებას.

1.6 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ ქართულ ენაზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის;

1.8 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;

1.9 აღნიშნულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ სრულად ეთანხმება ამ კონკრეტული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს:

## **2. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:**

### **2.1 ანგარიშსწორების პირობები:**

2.1.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო;

2.1.2 ვალუტა: ეროვნული ვალუტა (ლარი);

2.1.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ოდენობის შესაბამისად, თვეში ერთხელ, შესაბამისი სასაქონლო ზედნადებების, საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

2.1.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

### **2.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და ფორმა:**

2.2.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2017 წლის 10 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

2.2.2 მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველი ორგანიზაციის 32 ობიექტზე, საბავშვო ბაღების მისამართებზე, **დანართი N3**-ის შესაბამისად;

2.2.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, თვეში ორჯერ;

2.2.4 მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა და მიწოდების კონკრეტული დღე განისაზღვრება შემსყიდველისგან ელექტრონული ფორმით წინასწარ მიცემული შეკვეთის საფუძველზე (მიმწოდებელს შეკვეთა გადაეგზავნება რეკვიზიტებში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე@mail), შემსყიდველის მიერ ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეკვეთის გაგზავნის თარიღი ითვლება - შეკვეთის მიცემის თარიღად, ხოლო შეკვეთაში დაფიქსირებული მიწოდების თარიღი - მიწოდების თარიღად;

2.2.5 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს სამუშაო საათებში, შესყიდვის ობიექტის დაგვიანებით მიწოდებაზე გავრცელდება სატენდერო დოკუმენტაციის 2.3 პუნქტის 2.3.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო;

2.2.6 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთვის შემსყიდველი მიმწოდებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს 1-3 დღისა;

2.2.7 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის რაოდენობა არ აითვისოს სრულად (ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ათვისება განისაზღვრება ბევრთა ფაქტობრივი გამოცხადების შესაბამისად);

2.2.8 მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდების დროს შესყიდვის ობიექტი განათავსოს საბავშვო ბაღის წარმომდგენლის მიერ მითითებულ ადგილზე;

2.2.9 მიმწოდებელი ვალდებულია საბავშვო ბაღებში შესყიდვის ობიექტის მიწოდების დროს გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი არანაკლებ ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი დატოვოს საბავშვო ბაღში, ხოლო მეორე ეგზემპლარი წარმოადგინოს ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციაში;

### **2.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:**

2.3.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების (დადგენილ ვადაში შეკვეთილი პარტიის მიუწოდებლობა, არასრულყოფილად მიწოდება, კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა და ა.შ) შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,05%-ის ოდენობით;

2.3.2 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ყოველი პარტიიდან, შემსყიდველის მიერ გარკვეული ნაწილის დაწუნების (უხარისხობის გამო) შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია იმავე დღეს 18:00სთ-მდე ჩაანაცვლოს იგი ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისი შესყიდვის ობიექტით, სრული მოცულობით, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული მიწოდება ჩაითვლება არასრულყოფილად მიწოდებაში და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,05%-ის ოდენობით;

2.3.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

2.3.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით;

### **3. ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტის მიერ ასატვირთი დოკუმენტები:**

3.1 რეკვიზიტები დანართი №1- ის შესაბამისად;

3.2 ფასების ცხრილი - დანართი №2 - ის შესაბამისად;

3.3 სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

### **4. დამატებითი ინფორმაცია.**

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N42;

საკონტაქტო პირები:

როლანდი ბოლქვაძე, მობ: 577 26 11 64,

დავით ჩხაიძე, მობ: 577 11 49;

რეკვიზიტები	
პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი	
საიდენტიფიკაციო კოდი	
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი	
ელექტრონული მისამართი Email	
ბანკის დასახელება	
ბანკის კოდი / SWIFT	
ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი	

ხელმოწერა / ბეჭედი -----

N	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	მწარმოებელი		შეფუთვის ტიპი	შეფუთვის მოცულობა	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
			ქვეყანა	კომპანია						
1	საყოფაცხოვრებო საპონი	საყოფაცხოვრებო საპონი 72%-იანი, მაღალი აქაფების ხარისხით, როგორც ცივ ასევე ცხელ წყალზე, ყოველი ცალი უნდა იყოს შეფუთული ქარხნული წესით; <b>წონა:</b> არანაკლებ 180 გრ.			-----		ცალი	1 400		
2	თხევადი საპონი	თხევადი ხელის საპონი. ანტიალერგიული, ანტიბაქტერიული, სასაიამოვნო სუნით, კანიდან ადვილად მოშორებადი, ადვილად აქაფებადი.			ცალი		ლიტრი	5000		
3	ქაღალდის ხელსახოცი	ქაღალდის ხელსახოცი, 100%-იანი ცელულოზა, რბილი <b>სიგრძე/სიგანე:</b> არანაკლებ 23X23სმ (გაშლილ მდგომარეობაში)			შეკვრა		ცალი (ფურცელი)	5 000 000		
4	ქაღალდის ხელსახოცი	ქაღალდის ხელსახოცი, კედლის მექანიკური დისპენსერისთვის, 100%-იანი ცელულოზა, რბილი <b>სიგრძე/სიგანე:</b> არანაკლებ 18x18სმ (გაშლილ მდგომარეობაში)			შეკვრა		ცალი (ფურცელი)	400 000		
5	ტუალეტის ქაღალდი 3 ფენიანი	უმადლესი ხარისხის თეთრი ქაღალდი, 100%-იანი ცელულოზა, პერფორირებული, რბილი; <b>რულონის შიდა გული</b> - მუყაო; <b>ფენების რაოდენობა:</b> არანაკლებ - 3 ფენა; <b>ფურცლების რაოდენობა:</b> 150 ცალი(±2 ცალი); <b>ფურცლის ზომა:</b> 9,5x10,5 სმ <b>ერთი რულონის წონა:</b> არანაკლებ - 100 გრ; <b>ერთი რულონის სიგრძე:</b> არანაკლებ 17 მეტრი.			შეკვრა		ცალი	91200		
<b>ჯამი</b>										

**შენიშვნა:** პრეტენდენტი ვალდებულია სატენდერო წინადადების წარმოდგენის დროს მიუთითოს შეფუთვის კონკრეტული მოცულობები, თუ რა მოცულობას/რაოდენობას შეიცავს ერთი შეფუთვის ტიპი (გარდა 1-ლი პოზიციისა - საყოფაცხოვრებო საპონი). ხელშეკრულება დაიდება პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შეფუთვის მოცულობების და ფასების ცხრილით განსაზღვრული რაოდენობების შესაბამისად, სადაც განზომილების ერთეულებად განისაზღვრება მე-2 პოზიციაზე "ცალი", ხოლო მე-3, მე-4 და მე-5 პოზიციებზე შეკვრა ;

ხელწერა/ბეჭედი -----

ბაღის №	მისამართი
საბავშვო ბაღი №1	ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძის ქ. №25
საბავშვო ბაღი №2	ქ. ბათუმი, ვაჟა ფშაველას ქ. №5
საბავშვო ბაღი №3	ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ. №51
საბავშვო ბაღი №4	ქ. ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქ. №8
საბავშვო ბაღი №5	ქ. ბათუმი, გიორგი მაზნიაშვილის ქ. №28
საბავშვო ბაღი №6	ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქ. №22 ა
საბავშვო ბაღი №7	ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქ. №17
საბავშვო ბაღი №8	ქ. ბათუმი, შალვა ინასარიძის ქ. №4 ა
საბავშვო ბაღი №9	ქ. ბათუმი, ნიკო ფიროსმანის ქ. №9
საბავშვო ბაღი №10	ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქ. №14
საბავშვო ბაღი №11	ქ. ბათუმი, დავით აღმაშენებლის ქ. №5
საბავშვო ბაღი №12	ქ. ბათუმი, აკაკი წერეთლის ქ. №30
საბავშვო ბაღი №13	ქ. ბათუმი, ივანე ანდრონიკაშვილის ქ. №44
საბავშვო ბაღი №14	ქ. ბათუმი, ვაჟა ფშაველას ქ. №83
საბავშვო ბაღი №15	ქ. ბათუმი, ილია ჭავჭავაძის ქ. №65
საბავშვო ბაღი №16	ქ. ბათუმი, ალექსანდრე პუშკინის ქ. №113
საბავშვო ბაღი №17	ქ. ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქ. №104
საბავშვო ბაღი №18	ქ. ბათუმი, ვლადიმერ მაიაკოვსკის ქ. №3
საბავშვო ბაღი №19	ქ. ბათუმი, სვიშჩევსკის ქ. №1
საბავშვო ბაღი №20	ქ. ბათუმი, ჯემალ ქათამაძის ქ. №38
საბავშვო ბაღი №22	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზ. I შეს. №4
საბავშვო ბაღი №23	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი №281
საბავშვო ბაღი №24	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი №318
საბავშვო ბაღი №25	ქ. ბათუმი, კახაბრის უბანი
საბავშვო ბაღი №26	ქ. ბათუმი, მწვანე კონცხის უბანი იბერიის ქ. №2
საბავშვო ბაღი №27	ქ. ბათუმი, ლერმონტოვისა და ს. ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ
საბავშვო ბაღი №28	ქ. ბათუმი ადლიის დასახლება, კოტე აფხაზის ქ. №4
საბავშვო ბაღი №29	ქ. ბათუმი, გონიოს დასახლება პეტრე იბერიის №1
საბავშვო ბაღი №30	ქ. ბათუმი, ბათუმი, იოსებ ნონეშვილის ქ. № 60
საბავშვო ბაღი №31	ქ. ბათუმი, გალაკტიონ ტაბიძის ქ. №14
საბავშვო ბაღი №32	ქ. ბათუმი, კახაბრის დასახლება, ფრიდონ ხალვაშის II ჩიხი
საბავშვო ბაღი №33	ქ. ბათუმი, ურეხის დასახლება